ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9599/01
01/11/2018

9599-01-2-201811011738

ფაქტ ჩეკის ანალიტიკოსს

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროში, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს შემოსული თქვენი #13568 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატის მიერ 2012-2018 წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანხები არ მიმართულა. აქვე გიგზავნით სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი უწყებების მიერ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2012-2018 წლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა/ქვეპროგრამების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას.

- ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო- დანართი 1
- სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია - დანართი 2
- სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - დანართი 3
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო-დანართი 4

ქვეპროგრამის „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია“ ფარგლებში 2012-2018 წლებში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აჭარის რეგიონში განახორციელა თურქულის, ჯილეხის, ცოფის, ნოდულარული დერმატიტის, ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციები; ბრუცელოზის, თურქულისა და ცოფის სერომონიტორინგი; მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია.

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო -დანართი 5
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველო და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო. აღნიშნული სამმართველოებისთვის 2016-2017 წლებში აშენდა ახალი საოფისე შენობა ქ. ბათუმში, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2018 წელს. მშენებლობა

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

განხორციელდა დეპარტამენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, აღნიშნული მიზნით დაიხარჯა 1 172 674 ლარი.

დანართი 5 გვერდი.

პატივისცემით,

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის პირველი მოადგილე